კვირა, 30 აგვისტო. 1915 წ.

ფასი 10 კაპ.

იუმორისტ. ჟურნალი

ეშმაკის მათრახი

№ 17



უვარგისი მებაღე. გ. თუმანოვი. დასწყევლოს ღმერთმა! ვრწყავ, ვრწყავ, და მაინც არაფერი გამოდის: ერთი ძირშივე ხმება და მერე კი სულ არ ამოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი დღე კახეთში.

დეპუტაციები.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი მოგზაურობის მთავარი მიზანი,—-ხალხის ჭირ-ვარამის გაგება იყო.

მართალია, ჩვენში ჭირ-ვარამს დიდი ძებნა არ სჭირია, საითაც გაიხედავ ყველგან საჭიროზე მეტია, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე მომესმინა ადგილობრივ მოღვაწეთა ჩივილი სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო კითხვებზე.

მხოლოდ ამ მოსაზრებით მივიღე რამოდენიმე დეპუტაცია ნადიკვრის „რესტორანში".

შუახნისაზე ცოტა მეტ-ნაკლები შეიძლება ეწოდეს პირველ დეპუტაციას, რომელიც ჩემს წინაშე წარმოსდგა.

— კლიმიევ! დარბაისლური და ენერგიული კაცის ·კილოთი წარმოსთქვა დეპუტაციამ.

— ეშმაკი. ფრიად სასიამოვნოა. დაბრძანდით, ბატონო ჩემო.

— ნიჩევო. ია პეშკომ პოსტაიუ!

— რისთვის იწუხებთ თავს. მე თქვენთან მეგობრული მუსაიფი მსურს და არა ოფიციალური. პრესა დღეს სულ სხვა გზას ადგია, მას ხალხთან დაახლოება სწყურია. იმედია გულახდილათ ვიბაასებთ. ვისთან მაქვს ბედნიერება მუსაიფისა.

— მინისტრ ნაროდნავო პროსვეშჩენია...

— აააჰ!...

— ნე მინისტრ, ნო... პაპეჩიტელ...

— რასა ბრძანებთ? ის ხომ...

— ნეტ, ნე პაპეჩიტელ, ნო დილექტორ.....

— როგორ? თქვენ დირექტ...

— ჩევო ვი პრიდირაიტეს... დირექტორი არა ვარ, მაგრამ ინსპეკტორი ხომ მაინცა ვარ.

— ღმერთმა დამიფაროს, აბა რა ბრძანებაა. მე რა მაქვს თქვენთან საცილო.

— მაშ გეტყვით ყველაფერს. თუ სიმართლე გსურთ მე თელავში ყველაფერი ვარ: მინისტრიცა ვარ, პაპაჩიტელიც, დირექტორიც და ინსპექტორიც.

— ეს როგორ მოხდა? განა თელავს ავტონომია ხომ არ მიუღია ჯერ-ჯერობით?

— რის ავტონომია. ყველაფერი რეჟიმის საქმეა.

— აჰააა!

— თქვენ ხომ ვერა ხედავთ აქ ვერაფერს, მაგრამ ჩემი ხელი რკინის სალტესავით არტყია აქაურობას და, თუ მოსწავლე ახალგაზრდობა ჯერ სული არ გარყვნილა, ამ რკინის ხელებს უნდა უმადლოდეთ.

მე წავიწიე ხელებზე საკოცნელათ, მიუხედავათ იმისა, რომ იგი თელავის ქუჩებისაგან სისუფთავის მხრივ ბევრით არ განსხვავდებოდა, მაგრამ მან, ბ-ნმა კლიმიევმა, ამისი ნება არ მომცა.

— არა, ჩემი მოღვაწეობისათვის მე ჯილდოს არა ვთხოულობ. ის კი მინდა, შთამომავლობა დამაფასებდეს სიკვდილის შემდეგ.

— აბა რასა ბრძანებთ? თქვენ ოღონდ მიცვალება ინებეთ, და მყისვე დარწმუნდებით, თუ როგორ აფასებს ქართველი ხალხი თავისს მოღვაწეებს.

— თქვენ გაგიგონებათ, ინცინდენტი ბავშვის გულის შეწუხების შესახებ...

— რომელი ბავშვია?

— აი აქ, საშუალო სასწავლებელში.

— არც ქორელთან ჩხუბი გაგიგიათ?

— სრულიად არაფერი.

— მაშ რის ეშმაკი ხართ, აღარ ვიცი ღმერთმანი.

მე შემრცხვა და ჩემი სიწითლე სამართლიანიც იყო.

— წარმოიდგინეთ, ეს ქორელია, თუ გორელი, აქ რაღაც წარმოდგენების მართვას შეუდგა და თურმე მოწაფეებსაც აპარებდა ჩუმ-ჩუმათ.

— ღმერთო ჩემო! ამ საშიშარი ამბის გაგონებაზე კინაღამ გული შემიწუხდა.

— როგორ, წარმოდგენებზე მოსწავლე ახალგაზრდობას უშვებდა?

— მაშ, მაშ! უშვებდა და ისიც ჩემ დაუკითხავათ, თითქო მე მინისტრი კი არა, ვიღაც პოეტი ვიყო.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო.

— მაგრამ გქონდეთ სიცოცხლე, მე იმას ფეთება ვუჩვენე. შევიჭერი ერთხელ კულისებში და ნამდვილი კორიანტელი ავაყენე.

— ხელი შემარჩინა ღმერთმა!

— ერთი ინცინდენტი რაღაც „ხელის მოწერის" თაობაზე ამიტეხეს...

რაღა გავაგრძელოთ, ჩვენმა მუსაიფმა მეგობრული ხასიათი მიიღო და მე ღრმათ დავრწმუნდი, რომ ჯოჯოხეთს თელავში არც თუ იმდენათ მცირე მომხრეები ჰყოლია. ჩავიწერე ყველაფერი, რაც

ბ-ნმა კლიმიევმა მიამბო და ვეცდები ყველაფერს შესაფერი მალამო დავსდო.

— თქვენი სახელი?

— დავიწყებული.

— ა?

— დავიწყებული.

— რასა ბრძანებთ. სად გაგონილა თქვენოდენა კაცს სახელი დავიწყებოდეს?

— როგორ თუ დაჰვიწყებოდეს. სრულიადაც არ დამვიწყებია, მაგრამ ჩემი სახელი დავიწყებულია.

— არაფერი მესმის თქვენმა გაზრდამ!

— აქ რა არის გაუგებარი, მე ვარ დავიწყებული.

— რატომ ხართ დავიწყებული?

— ჩემით.

— თქვენ მეხუმრებით მგონია. მართალია, მე ძლიერ მიყვარს ხუმარა კაცი, მაგრამ ახლა ამისათვის მაინც არა მცალია. გთხოვ, თქვენი ვინაობა გამაგებინოთ.

— დავიწყებული.

— ღმერთო ჩემო! დაწერილი მაინც არსად გაქვთ თქვენი სახელი და გვარი?

— გაზეთში.

— აჰაااა! ახლა მესმის ყველაფერი. „დავიწყებული“ თქვენი სამწერლო სახელია.

— დიახ, დიახ.

— რატომ დაითქვით ასეთი პესიმისტური ფსევდონიმი?

— იმიტომ, რომ ჩემს სოციალურ მდგომარეობას შეეფერება.

— თქვენ სოციალისტი ბრძანდებით?

— ნუ თუ ამასაც კითხვა უნდა? „სახალხო ფურცელში“ ვთანამშრომლობ. თელავი ჩემი მრევლია.

— ფრიად სასიამოვნოა.

— განა მარტო მე, მთელი თელავი სოციალ-ფედერალისტებით არის დასახლებული.

— ფრიად და ფრიად სასიამოვნოა. თუ ასეთი საზოგადოება გახვევიათ გარს, მაშ „დავიწყებული“ არა ყოფილხართ.

— ამხანაგები რას გიზამს, თუ საზოგადო დაწესებულებებში ადგილს არ მოგცემენ, რომ სული დაიპურო?

— მაშ თქვენ მარტო მწერლობით ცხოვრობთ?

— სად გაგონილა. ჩვენში მწერლობით შორს ვერ წახვალ.

— მაშ?

— ვმსახურობ აქ საკრებულოში.

— ჩინებულია, თუ შრომის ფასი სავარგისია.

— აბა რასა ბრძანებთ. მარტო მაგის ანაბარა ჩემი მტერი დარჩა.

— მაშ?

— ეგრედ წოდებული „**არესტნი დომის**“ გამგე ვარ. სულს თუ ვიპურებ, ისევ იქიდან. სამსახური...

ამ სიტყვებზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მშიშარა კაცი არა ვარ და მით უმეტეს **სოციალისტებს** არასოდეს არ ვუშინდები, მაგრამ „სახალხო ფურცლის“ სოციალისტმა ისეთი სამსახურის დარგი წამოაყენა, რომ უნებლიეთ გამაცივა. ამის შემდეგ რა ილაპარაკა ბ-ნმა დავიწყებულმა, აღარ მახსოვს. როცა ის წავიდა და ჩემს ოთახში ბ-ნი ნიკიფორე მამინაიშვილი შემოვიდა „**პრესის**“ საქმეებზე მოსალაპარაკებლათ, მე უკვე სამოცი გრადუსი სიცხე მქონდა და აღარ მახსოვს, რა ილაპარაკა პატივცემულმა ინსპექტორმა.

ეშმაკი.

„ჩინოვნიკის“ სიკვდილი.

(ა. ჩეხოვისა)

ერთ მშვენიერ საღამოს, არა ნაკლებ მშვენიერი ეკზეკუტორი, ივან დიმიტრიჩ ჩერვიაკოვი, მეორე წყებაში იჯდა და „კორნეველის ზართა“ ცქერით სტკებებოდა. ის თვალ დასმით მისჩერებოდა სცენას და უაღრეს განცხრომას გრძნობდა, მაგრამ უცებ... მოთხრობებში ხშირად შეგხვდება ხოლმე ეს „მაგრამ უცებ.“ ავტორები დიახ მართალნი არიან: ცხოვრება ხომ სავსეა უცაბედობითა და მოულოდნელობით! მაგრამ უცებ სახე დაეღრიჯა, თვალები გადაეკარგა, სუნთქვა შეუჩერდა... მოიშორა თვალებზე ბინოკლი, დაიხარა და „აფცხი“!!! ცხვირი დააცემინა, როგორც თქვენცა ხედავთ. ცხვირის დაცემინება არსად და არავისთვის აკრძალული არ არის. ცხვირს აცემინებენ გლეხებიც, პოლიცმეისტრებიც და ზოგჯერ, ასე გასინჯეთ, თვით „ტაინი საველნიკებიც“. ყველანი

სტუმართმოყვარე მასპინძელი.

ქალაქის მოურავი. მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით! სოლოლაკში არც ერთი ბინა არ მოიძევა, დანარჩენი უბნები კი თქვენი იყოს; საცა გინდათ, იქ დაიდეთ ბინა.

აცემინებენ ცხვირსა. ჩერვიაკოვს ოდნავათაც არ შერცხვენია, მოიწმინდა ცხვირსახოცით და როგორც ზრდილობიან კაცს შეჰფერის, ირგვლივ მიმოიხედა, ვინ იცის, იქნება ვინმე შევაწუხე ჩემი ცხვირის დაცემინებითაო? ახლა კი, ცოტა არ იყოს, შერცხვა. შერცხვა, რადგან დაინახა, რომ მის წინ, პირველ წყებაში მჯდომარე ბერიკაცი გულდასმით იწმენდდა მელოტ თავსა და კისერს ხელთათმანით და თან რაღაცას ბუტბუტებდა. ჩერვიაკოვმა იცნო ბერიკაცი: ეს იყო სამოქალაქო უწყების გენერალი ბრიზჟალოვი, გზათა სამინისტროში რომ მსახურობს.

„მგონი დავნერწყვე!—გაიფიქრა ჩერვიაკოვმა. — ჩემი უფროსი არაა, სხვისია, მაგრამ მაინც სირცხვილია. უთუოდ ბოდიში უნდა მოვიხადო.

ჩერვიაკოვმა ჩაახველა, ცოტა წაიწია და ყურში ჩურჩულით უთხრა გენერალს:

— უკაცრავათ, თქვენო აღმატებულებავ, ბოდიშს ვიხდი: მე თქვენ დაგნერწყვეთ... უცებ მომივიდა...

— არა უშავს რა, არაფერია...

— ღვთის გულისთვის, მაპატიეთ, მე ხომ... მე არ მინდოდა!

— ოჰ, მანდ იჯექით, თუ ღმერთი გწამთ! მაცალეთ ერთი!

ჩერვიაკოვს შერცხვა, სულელურათ გაიღიმა და სცენაზე ყურება დაიწყო. უყურებდა ჩერვიაკოვი, მაგრამ იმ უაღრეს სიამეს ვეღარ გრძნობდა. რაღაც შეწუხება დაეწყო. ანტრაქტის დროს მივიდა ბიზჟალოვთან, აუარ-ჩაუარა, დასძლია სიმხდალე და ჩაილუღლუღა:

— მე თქვენ დაგნერწყვეთ, თქვენო აღმატებულებავ... მაპატიეთ... მე ის კი არ... რა ჰქვიანა...

— კარგია ერთი, თუ ღმერთი გწამდეთ! მე დამავიწყდა კიდეც და თქვენ კი აღარ მეშვებით!

ქალები ომში.



1) დარაჯი ქალი. 2) მოწყალების დანი. 3) მოწყალების და პოზიციაზე.
4) ჯარის-„კაცი“ ქალები დასვენების დროს.

სთქვა გენერალმა და მოუთმენლათ შეაცმაცურა ქვედა ტუჩი.

— „დამავიწყდაო, ამბობს და თვალებში კი ვერაგული ნაპერწკლები უთამაშებს, — გაიფიქრა ჩერვიაკოვმა და ეჭვის თვალით გახედა გენერალს.— ლაპარაკიც არ ისურვა. კარგი იქნება, რიგიანათ ავუხსნიდე, რომ მე სულაც არ მინდოდა... რომ ეს ბუნების კანონია, თორემ, ვინ იცის: იფიქრებს, შეფურთხება უნდოდაო. ახლა რომ არ იფიქროს, შემდეგ იფიქრებს!...“

შინ რომ დაბრუნდა, ცოლს გაუზიარა თავის უზრდელობის ამბავი. ცოლმა, როგორც მას მოეჩვენა, მეტათ დაუდევრათ შეხედა ამ საქმეს. ჯერ შეშინდა მხოლოდ და როცა გაიგო, რომ ბრიზჟალოვი „სხვისი“ იყო, დამშვიდდა.

— მაინც და მაინც, შედი ერთი მასთან და ბოდიში მოიხადე, თორემ იფიქრებს, ხალხში თავდაჭერა არ სცოდნიაო.

— საქმეც ეგ არის! მე მოვთხოვე კიდეც ბოდიში, მაგრამ მან რაღაც უცნაურათ... ერთი სიტყვით, გარკვევით ვერაფერი მითხრა. ესეც კია, ლაპარაკის დრო არ იყო.

მეორე დღეს ჩერვიაკოვი ახალ ვიც-მუნდირში გამოეწყო, თმა და წვერი შეიკრიჭა და წავიდა

ბრიჭალოვთან საქმის ვითარების ასახსნელათ... გენერლის მისაღებ ოთახში მრავალი მთხოვნელი დახვდა, და მთხოვნელთა შორის თვით გენერალიც დაინახა; თხოვნების მიღება დაეწყო კიდეც. გამოკითხა რამდენიმე კაცს და ჩერვიაკოვთან მივიდა.

— თქვენო აღმატებულებავ, დაიწყო მოხსენება ეკზეკუტორმა:—თუ გახსოვთ, თქვენო აღმატებულებავ, გუშინ თეატრში მე ცხვირი დავაცემინე და... უცაბედათ თქვენ... თქვენ დაგნერწყვეთ.., ბოდიშს ვიხ...

— რა სისულელეა!... ამას ვის გადავეკიდ! თქვენ რა გნებავთ?—მიუბრუნდა გენერალი შემდეგ მთხოვნელს.

— ლაპარაკიც არ ინდომა! გაიფიქრა ჩერვიაკოვმა და გაფითრდა.—სჩანს, მიწყრება... არა, ამ საქმის ასე დატოვება ყოვლად შეუძლებელია.. მე ავუხსნი, უთუოდ ავუხსნი...

გენერალმა უკანასკნელ მთხოვნელთანაც გაათავა ბაასი და შესასვლელათ გაემართა. ჩერვიაკოვმა გადადგა ერთი ნაბიჯი და ლუღლუღით დაიწყო:

— თქვენო აღმატებულებავ! უკეთუ თქვენი აღმატებულების შეწუხებას ვბედავ, ეს იმას ნიშნავს, რომ მონანიების გრძნობა... განზრახ ხომ არ ისა... თქვენ თითონ იცით, თქვენო აღმატებულებავ!...

გენერალს სახე დაეპრანჭა, თითქო ეს არის, ახლავე ატირდებაო და ხელი ჩააქნია.

— თქვენ დამცინით, მგონი, მოწყალეო ხელმწიფევ!—წამოიძახა მან და კარებს იქით მიიმალა.

„განა ეს დაცინვაა?—ფიქრობდა ჩერვიაკოვი.—სადაური დაცინვაა ეგა! გენერალია და ამას კი ვერ მიმხვდარა: რაკი ასეა საქმე, ბოდიშის მოხდაც აღარ მსურს ამ ვიღაც დიდგულასთან. წერილს მივწერ და მოსვლით კი აღარ მოვალ! აღარ მოვალ, ჩემმა მზემ!

ასე ფიქრობდა ჩერვიაკოვი, შინ რომ მიდიოდა. მაგრამ წერილი მაინც ვერ მისწერა გენერალს. იფიქრა, იფიქრა დი ვერ მოიფიქრა, როგორ უნდა დაეწერა. რაღა გაეწყობოდა, მეორე დღეს ადგა და ხელ ახლა მიადგა კარზე.

— მე გუშინ გეახილი თქვენთან, თქვენო აღმატებულებავ, დაიწყო ლუღლუღი ჩერვიაკოვმა, როცა გენერალი მიუახლოვდა მ.ს,—მაგრამ დასაცინათ კი არა, როგორც თქვენ ინებეთ ბრძანება. მე ბოდიშს ვიხდიდი, ვინაიდან ცხვირის დაცემინების დროს დაგნერწყვეთ... დაცინვა კი თავისდღეში არ მიფიქრია. როგორ გავბედავ მე დაცინვას? უკეთუ ჩვენც დაცინვა დავიწყეთ, მაშინ ხომ არავითარი პატივისცემა არ ყოფილა...

— გაეთრიე აქედან! დაიბღავლა აკანკალებულ ა გენერალმა და გალურჯდა.

— რრ... რა გვიბრძანეთ? ჩურჩულით ჩაეკითხა თავზარდაცემული ჩერვიაკოვი.

— აქედან გაეთრიე მეთქი! გაიმეორა გენერალმა და ფეხები დააბრახუნა.

ჩერვიაკოვს რაღაც ჩააწყდა მუცელში. ვეღარაფერს ხედავდა, არც ესმოდა რამე, დაიხია კარებისაკენ, გავიდა ქუჩაში და ლასლასით წავიდა... შინ რომ დაბრუნდა, ვიც-მუნდირ გაუხდელათ დაწვა დივანზე და... სული განუტევა.

განსაცდელი

სწორეთ შაბათს საღამოს ე. ი. 22 მარიამობისთვეს, ჩემსა და ბ. ეშმაკს შორის შემდეგი დიალოგი გაჩაღდა:

ეშმაკი. იცი, რა უნდა გითხრა?

მე. აბა, რა უნდა ვიცოდე!

— ხვალ დილით უნდა წავიდე.

— სადა?

— კახეთში.

— არა, მართლა, თუ ხუმრობ?

— ღმერთს გეფიცები!

— კაცო, აკი ახლახან დაბრუნდი კახეთიდან?

— ჰო, მაგრამ... კიდევ უნდა წავიდე... საქმე მაქვს...

— არ შეიძლება, გავიგოთ—რა საქმეა?

— არა!

— უკაცრაოთ მე კიდევაც დამავიწყდა, რომ ეხლა რთველი იწყება და უშენოთ შენს უზარმაზარ ზვარებში თავგზა აერევათ მოურავსა და მუშებს...

— მე არ გეხუმრები: ხვალ დილით კახეთში მივდივარ და ეს ნომერი შენ უნდა შეადგინო!

— მიკვირს, ღმერთმანი! ან რა მოგარბეინებდა, როცა იქ იყავი და, თუ მოხველი, რაღა ჯანაბა მიგარბეინებს?

— ბევრი რამ არის, ჰორაციო, ქვეყნათ და ზეცათ, რაც ადამიანთ სიზმრადაც არ მოვლინებიათ!

— მაინც, რა არის, პრინცო ჰამლეტ, იგი საგანი, რაც ეგრე უცებ კვლავ კახეთში მიგარბეინებს.

— მაგას ვერ გეტყვი, ჰორაციო, თუნდ თავს დამატყდეს შენი რისხვა ზევსისებური!.. ხუმრობა იქით იყოს და ხვალ დილით უთუოდ უნდა წავიდე, უეჭველათ, უსიკვდილოთ!

— რა გაეწყობა... წაბრძანდი...

— და შენ კი ნომერი უნდა შეადგინო.

— რა გაეწყობა: შევადგენ...

აქ შეწყდა ჩვენი ბაასი: ეშმაკი აივანში გავიდა, მე კი ოთახში დავრჩი და მისი მოულოდნელისა და უეცარი გადაწყვეტილების მიზეზების გამოსარკვევათ ტვინში ჩხრეკა დავიწყე:

სულ ერთი კვირაც არ გასულა, რაც კახეთიდან დაბრუნდა, ვფიქრობდი მე: ამ ერთი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ დაუძრავს სიტყვა ისევ წასვლის შესახებ; პირიქით, ახალ მოსული რომ იყო, ისიც კი სთქვა: კარგია, რომ კახეთში წასვლა მოვახერხე, თორემ ვინ იცის კიდევ როდის მოვესწრებიო. მაშ რას ნიშნავს ეგრე უეცარი გადაწყვეტილება?

არა, აქ რაღაც საეჭვო მიზეზები იფარება!. ყველაზე უფრო საკვირველი ისაა, რომ ეგრე რიგათ მალავს და არ მიმეღავნებს იმ საქმეს, რომლის გულისთვისაც აპირობს წასვლას.

თავში მაცდურმა აზრმა გამიელვა:

— ასე მოწყვეტით რომ თბილისიდან კახეთში გაეშუროს, კაცი ან სიგიჟით უნდა იყოს შეპყრობილი და ან... სიყვარულით. ხოლო ვინაიდან ჭკუამცდარობის სხვა ნიშნები არ ემჩნევა, სჩანს ტრფობის ალით ყოფილა აგზნებული: გარნა, როგორ იცნობა გამიჯნურებული მოყმე?—განვარგძობდი მე მსჯელობას: უპირველეს ყოვლისა საქმეზე გული აუცრუვდება. ეს ნიშანი აშკარათ ეტყობა. შემდეგ, სამიჯნურო ლექსების თქმას იწყებს...

— ეი!—მომესმა აივანიდან ეშმაკის ძახილი: თუ გახსოვს, როგორ არის გრიშაშვილის ლექსის ეს ადგილი: „კოცნა კუბოს ნატეხია..., მერე?

— შიგ მარხია ძაღლის თავი! ვუპასუხე მე.

— თფუი!

გააფურთხა ეშმაკმა, მაგრამ მე ამას ყურადღებაც არ მივაქციე და ჩემ მჯელობას დავუბრუნდი: „მაშ მეორე ნიშანიც არის. მესამეთ, მიჯნურის და მახასიათებელია ის გარემოებაც, რომ მთავრის ცქერა უყვარს...

— კაცო, რომელ საათზე ამოვა მთვარე, არ იცი?—გამაწყვეტინა ფიქრი ეშმაკმა.

— გუნებას გაიჩნია: ზოგჯერ, თუ ცუდ გუნებაზეა, სულაც არ ამოვა ხოლმე;

— თუ ძმა ხარ, ნუ ლაზღანდარობ, გამიჯავრდა ეშმაკი: მე სერიუზულათ გეკითხები და შენ კი უკბილოთ ოხუნჯობ.

— ახლა კი ეჭვი აღარ არის, გაბმულა!—ვთქვი მე გუნებაში და და აივანში გავედი...

ეშმაკის გამიჯნურების საქმეს მე პრაქტიკული თვალსაზრით შევხედე და უპირველეს ყოვლისა შემდეგი საკითხი დავისვი: რა გავლენას მოახდენს ეშმაკის მოსალოდნელი დაოჯახიანება ჩვენს საერთო საქმეზე, ე. ი. ჟურნალის კეთილდღეობაზე. ამის გამოსარკვევათ საკუთარ ჩემ მაგალითს მივმართე: ვიდრე ოჯახს მოვეკიდებოდი, მე ფილოსოფიურ სარბიელისათვის ვემზადებოდი, მაგრამ შევირთე თუ არა ცოლი, რაღაც ჩემთვის გაუგებარ მიზეზების გამო, უეცრივ იუმორისტი გავხდი. ამისდა გვარათ, ცოლის შერთვას ჩემთვის სწორეთ ისეთი მოულოდნელი ეფექტი მოჰყვა, როგორიც მესამე სართულიდან გადმოვარდნას ბალმონტისათვის, რომელიც მანამდე, თურმე, ჩვეულებრივი მოჰაკვდავი იყო, მაგრამ გადმოვარდა თუ არა მესამე სართულიდან, მყისვე პოეტი გახდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ბალმონტი კარგი პოეტი შეიქნა, მე კი ვერაფერიშვილი იუმორისტი. მაშასადამე, ცოლის შერთვა და დიდი სიმაღლიდან გადმოვარდნა იმგვარათ არყევს ადამიანის ტვინს, რომ ძირითადათ სცვლის ნიჭის თვისებას. თანახმათ ამ კანონისა, რა თქმა უნდა, ეშმაკის ნიჭსაც არსებითი მეტამორფოზა მოელის და, თუ დაქორწინებამ მე, ბუნებით ფილოსოფოსი, იუმორისტად მაქცია, აშკარაა—იუმორისტი ეშმაკი ფილოსოფოსი შეიქნება. საზოგადოთ რომ გავსაჯოთ, ეს ნიჭისცვალება არც თუ საზიანო იქნება საქართველოს კულტურისათვის, ვინაიდან, კარგი ფილოსოფოსები განა კარგ იუმორისტებზე ნაკლებ გვჭირია? მაგრამ, აკი მოგახსენეთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას მე ჩვენი ჟურნალის ინტერესებს ვუფარდებდი და ამ მხრივ კი ეშმაკის გამიჯნურება დიდ საფრთხეს მოასწავებდა...

კვირა დილით ეშმაკი წავიდა.

დღეს ორშაბათია. ამ წუთში ის კახეთშია კიდეც და ვინ იცის, თავის ჯულიეტას უზის გვერდით. მე კახეთი მხოლოთ ერთხელ ვნახე და ისიც ბავშობისას (25 წლის ძლივს ვიქნებოდი იმ დროს, ასე რომ იქაურობა ძლიერ ბუნდოვანათ მახსოვს), მაგრამ ჩემი ოცნების დახმარებით ადვილათ ვხედავ იმ სურათს, რომლის პერსონაჟები ეშმაკი და მისი „ევა“ არიან.



ასეთი ვიყავი, როცა ტრამვაის ვაგონის სკამებზე ოთხ კაცზე მეტს არ უშვებდენ.

„ევა“ ნამდვილი კახელი ქალია: შავგვრემანი, შავთვალა, მარწყვის ტუჩებიანი და სადაფის კბილებიანი; ასაკით, ასე 17—18 წლის თუ იქნება (მე კარგათ ვიცი ეშმაკის გემოვნება!), ტანის ნაკვთები და მოხაზულობა ეს არის დამთავრებია და ნორჩი მკერდი, სოლომონ ბრძენის სიტყვით რომ ვთქვათ, ისე გამოსჭვიფის თხელ საზაფხულო ქსოვილში, როგორც „მტევანნი ვენახისანნი“ ვაზის ფოთლებში. მოქმედება ნადიკვარის კორტოხზე სწარმოებს. ჩამავალი მზის თითქოს - ხილული სხივები ზურგში სცემს თავდახრილ „ევას“ და ნაზათ უფერავს თმის კულულს, რომელიც ნაწნავებში ველარ დატეულა და მარცხენა ლოყაზე გადმოჰყრია. ეშმაკი „ევას“ ჩრდილში ზის, შორი-ახლო, და აგზნებული თვალებით შესცქერის

ეშმაკი. (წყნარი ხმით) რა მშვენიერი საღამოა!

ეშმაკის თვალები. (უხმოთ) მიყვარხარ!

ეშმაკის გული. (ხმა მაღლა) დაგ-დუგ, დაგ-დუგ, დაგ-დუგ!

„ევა“ (სდუმს)

„ევას“ თვალები. (უხმოთ) მეც... მეც... მი... ყვარ...

„ევას“ **გული.** (ხმა მაღლა) ტაკ-ტუკ-ტაკ-ტუკ-ტაკ ტუკ!



ხუთ-ხუთის და ექვს-ექვსის ნება რომ დართეს, მეც ხერხი მოვიგონე.



ეხლა ესეთიღა ვარ!

ჩემმა ოინმა გასჭრა და თავისუფლათ ვეტეოდი ტრამვაის ვაგონში.

დუმილი. მხოლოდ თვალები და გულნი განაგრძობენ ბაასს.

ეშმაკი. რა მდიდარი მხარეა ეს თქვენი სამშობლო!

ეშმაკის თვალები: მიყვარხარ! მოდი ჩემთან!

ეშმაკის გული (უფრო ხმა მაღლა) დაგ-დუგ, დაგ-დუგ, დაგ-დუგ!

„ევა“. დიახ!

„ევას“ თვალები. მცხვე... მცხვენიან! მე... ვერა! შენ... შენ... მოდი!

„ევას“ გული. (უფრო ხმა მაღლა) ტაკ-ტუკ-ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ!

დუმილი.

„ევა“ (დუმილს შეიდეგ) თქვენ მართლა მწერალი ხართ?

ეშმაკი. დიახ...

„ევა“ რა კარგია მწერლობა! მე ძალიან მიყვარან მწერლები!

ეშმაკის გული, (სხაპა-სხუპით და უფრო ხმამაღლა) დგ-დგ-დგ-დგ!

ეშმაკი. (ძლივს ძლიობით) მაშ...მეც...ხომ .. მწერ...მწერალი ვარ! მეც გი...გიყ...გიყვარვართ.

„ევას“ გული. (ტყვიის მტყორცნელის სისწრაფით) ტ-კ—ტ-კ—ტ-კ—ტ-კ!

„ევა“ (ალმური მოედება) მე... ეგ არ მინდოდა... მეთქვა... ესე იგი...

ეშმაკი. (წამოდგება და „ევასკენ“ ნაბიჯს გადადგამს).

ეშმაკის გული. (გარინდდება)

„ევა“ (ერთ ნაბიჯს ეშმაკისკენ გადადგამს)

„ევას“ გული. (გარინდდება).

მზე ჩადის. ნადიკვარი და მთელი მიდამოები

დაიჩრდილა. პატარა ლრუბლის ქულა, მიჯნურებს რომ დალივილებს ზემოდან, ოქროს ჩარჩოში ჩასმულ გედსა ჰგავს, ან კიდევ მოვარაყებულ ვერცხლის გვირგვინს, ბედნიერ ქალვაჟისთვის ზეცით ჩამოშვებულს. ეშმაკი და „ევა“ უძრავათ დგანან პირის პირ და ერთმანეთის სუნთქვას გრძნობენ. კიდევ ერთი ნაბიჯი და სასწაული მოხდება: ორი სხვა და სხვა ჯურის სხეული ერთ სხეულათ შედუღდება, მაგრამ ვერც ერთი ვერ ბედავს წინ წაწევას.

ეშმაკი. (დიდი ხნის დუმილის შემდეგ). მაშ... თქვენ... გიყვარ.., გიყვართ მწერლები?

„ევა“ (გამოერკვია) დიახ. ყველანი გარდა ერთისა (უკან დაიხია). ის ერთი კი ძალიანა მძულს...

ეშმაკი. (გაკვირვებული) ვინ? რომელი?

„ევა“. ერთი მწერალია... მამა ჩემს ლანძღავს ხოლმე... უნამუსო ვინმეა!.. იქნება, თქვენც იცნობთ... ის მე მეზიზღება! პაპამა სთქო, თუ შემხვდა, უთუოდ ვცემო... ახიც იქნება მასზე! ბა რას ერჩის პაპას, რა ვქნა! იმ დღეს ლექსიც კი დაუწერა გაზეთში პაპასა!.. სამასხარაოთ აიგდო!

ეშმაკი. (უკან დაიხევს) ვინ... რა გვარია... რა გაზეთში სწერს?

„ევა“ გაზეთში კი არა, რაღაც ჟურნალია, „ეშმაკს“ აწერს, ეშმაკმა კი წაიღოს მისი თავი და ტანი! არა, პაპა უთუოთ სცემს იმას. ძალიანაც გამეხარდება, ჩემმა მზემ... ნეტავი დააჭერინებდეს და ციხეში ჩასვამდეს... მოუხდება!

ეშმაკი. (კიდევ დაიხევს) უკაცრაოთ... მამა თქვენი ვინ ბრძანდება?

„ევა“ განა არ იცნობთ პაპას? პრისტავია...

ეშმაკის გული. (აჩქარებით) დაგ-დუგ, დაგ-დუგ, დაგ, დუგ!

„ევა“ პაპამა სთქვა ღღესა, ის ვილაც „ეშმაკიაო„ ეხლა თელავში ჩამოსულაო, უთუოდ უნდა მოვნახო და ერთი ლაზათიანათ გავამათრახოო... პაპას ხუმრობა რადი უყვარს! თუ სადმე წააწყდა, უთუოთ გაამათრახებს.

ეშმაკი. (ირგვლივ მიმოიხედავს, თითქოს ვილაცას ემალებაო) დაღამებულა კიდეც!

„ევა“ ვის უცქერით?

ეშმაკი. არავის... ისე... თუ დაღამდა მეთქი! მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

„ევა“. (თითქო რაღაცას მიხვდაო) მოიცადეთ, მოიცადეთ!

ეშმაკი. (მიდის) მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

„ევა“. თქვენ, ეი! თქვენ ხომ არა ბრძანდებით ის ვილაც „ეშმაკია“?

ეშმაკი. (ნაბიჯს უმატა, თითქმის გარბის თავჩალმართში) არა, ბატონო!

„ევა“. (ყვირის) თქვენა ხართ თქვენა! თქვენ როგორ გაბედეთ? წავიდე, ვუთხრა პაპასა!

მე დარწმუნებული ვარ, ეშმაკი ხვალ დილით აქ იქნება!

ეხლა კი ალარ დაუწყებს მთვარეს ცქერას!

გადარჩა ჩვენი ჟურნალი.

თაგუნა.

მესტვირული.

არ მინდა ლექსები ვწერო,
ვინმეს რო უძღვნა ძვირია,
არც ის ივარგა, გავჩერდე,
სულ დავადუმო პირია;
ეხლა დრო არის ისეთი,
პირში მართლის თქმა სჭირია,
მაშ მოდი, გუდა გავბერო,
ავაწრიპინო სტვირია.
ჯერ მურლულიდგან დავიწყებ,
არ შევეხები სხვასაო,
აქ ერთ ჩინოსან ვაჟბატონს
მიულილინებ კარსაო,
ვეტყვი: კოლა—ჯან, ქართველ ძმებს
ნუ დაუხუჭავ თვალსაო,
თორემ სტვირი ხომ ხელში მაქვს:
ზე გადაგათხლეშ თავსაო.
აქიდან სწრაფათ მოვკურცხლე,
დავადექ დიდსა გზაზედა;
მოვინვხულე ჭოროხი
(ის მეტათ მიყვარს სხვაზედა),
აქ ვნახე, ტანჯულ მუშებსა
ცრემლი სდიოდა თვალზედა;

სიტყვა შევკითხე და მითხრეს,
პასუხი მომცეს წამზედა:
მასწავლებლებათ რომ იყვნენ
გასულ წელს ჩვენ სოფელშია,
ეხლა ხელობა შესცვალეს:
ლამის გაგვწყვიტონ წელშია,
აგერ ექვსი თვე გათავდა,
ასე ვართ განსაცდელშია,
სახლში ვაპირებთ სამგზავროთ
ფულიც აღარ გვაქვს ხელშია.
აქიდგან შემოვტრიალდი,
ზევით ვიბრუნე პირია,
და ვინახულე ბათომში
მუშების გასაჭირია:
ტანთ დაფლეთოდათ სამოსი,
წაღას არ ქონდა ძირია,
ტეხნიკოსობის გინებით
არ მოასვენეს პირია.
ქვემო გურიას დავყევი,
გზაზე არ შემხვდა ავია
და უვნებელათ სუფსაში
ზე ამოვყევი თავია.
აქ მამულების ვექილებს
თავს შამოედგა ხელია,
ბლომათ ეყარათ სუფრაზე
თამასუკები ძველია,
ამბობდენ, ვის მიესწერება
გასული ძველი წელია,
მეტი ღალატვის მუშებმა
ყანებს აღაღეს ხელია.
აქაც გავბერე გუდუნა,
სტვირიც მოვმართე ძალზედა
სულ სოფელ - სოფელ ვიარე
არ გამოვედი გზაზედა.
გულ შემაზრავი სურათი
წასვე მომადგა თვალზედა,
ისმის ოხვრა და გოდება
ამონაკვნესის ხმაზედა,
დედა შვილს სტირის, ცოლი ქმარს,
ბალღებს აქვს გასაჭირია,
გადასახადი მატულობს,
თან საშოვარი ძვირია,
შიმშილიც კარზედ მომდგარა,
დაუფჩენია პირია,
სოფელს არა ყავს პატრონი
შეუსუმბუქოს ჭირია.
ეხლა ვეთხოვი სიმღერას
ღიღინს ავაღე პირია,
სულსა მიხუთავს სოფლისა
ესოდენ გასაჭირია.
მეც დავიღალე ამ ყოფით,
თან მოსვენება მჭირია,
დროებით გადავინახე
ჩემი გუდა და სტვირია.

ლეის-პირელი.

გურული სცენები.

მარიამობა წინა დღეს.

(გურული სცენა)

დომენტიე და პეტრიელაი.

დომენტიე... გამარჯობა, პეტრიელავ, შენი, რავა მოგიკუპრავს ცხვირ-პირი, რაცხა ფარცაკი არ არის შენს თავზე.

პეტრ.—ოიჰ! შენ არ დაგინახა ქრისტიანმა კაცმა, შენ, უწმინდურო, შენ! შენი გამარჯობა კი არა, სისხლი რომ დავლიო, გული არ მომიშლის; რავა, გუშხამ აქანაი კანცალარიაზე პრიგოვორი რომ დავადგინეთ, ნუ იქნება ტირილი, დღეობებიო, მარიობა მოვსპოთო, ისთე მოგესპო შენ სახელი, რომ შეგეხვეწეთ: „დომენტი, შენი ჭირიმე, აგი დაგვიწერე გაზეთშიო, რა დიდი საქმე იყო, რომ წაგეჩხიპნა პაწაი, ქვეყან-ს შენ აკილტიკებ და ლანძღავ გაზეთში და რა იქნებოდი, იგი გექნა!“...

დომ.—რაცხა შენ, პეტრიელავ; ან მარცხენა ფეხზე კი ამდგარხარ დღეს და ან ნაუქმურევი კი უნდა იყო, რაიყო, რამ გაგაცოფა, ჯერ გეიგე ამბავი და მერე იყმედე, დავწერე, აბა, რა ვქენი.

პეტრ. კაი შენს ცხვირს მუუდეს, კარგად შენ იგი დაგიწერია, ეეეჰ! გეიხედე ჩემსას! ჩამოვედი პაწაი მოადრებით ყანიდან, ეგება სამე სახვალიოდ სიმინდი ვისესხო მეთქი, შევიხედე სახლში, რაღას შეიხედავ, ჩაწკრიეებულარიან მტრედებივით: გლახუნაი, მარკოზაი, ანდრიე, ანუსიე, ბაბუსიი, ეფიზელაი, ხვარანძიე და რავიცი; მითხრეს, შენი ნახვა, პეტრიავ, კაი ხანია გვინდოდა ჩვენ, მარა, ამ ვაინმა შეგვიშალა ხელი და ახლა რავარც იქნა, ვიშონეთ დროი და შენთან ჭუჭუნით და მუსაიფით გავძღებიო“. რაცხაის გასაძღომათ მობრძანდით, კი

ვიცი მეთქი (გულში ვჩივი), ტინტილაის ნაჭამ კატასავით ხართ წელში გამოტანადებული შიმშილით, ორი ოყა ჭადი არ მოგპირავს თითოს მეთქინ, ვიფიქრე... ააა! აგია შენი დაწერილი? შენ დამიწერე გაზეთში, მარიობას ნუ მოხვალთ მეთქინ, თვარა, დამიპატიჟე მეთქინ, როდის გითხარით.

დომ.—კაცო, პეტრიელავ, რავა დაგიპატიჟე? შენი სტუმრები რომ გაზეთს არ კითხულობდეს, რა ვუყო მერე, რა ჩემი ბრალია.

პეტრ. რა ვქნა ახლა, ვჭამე ბიჭო სირცხვილი და იგია, ერთი კეკალი სიმინდი არ მაქ შინ.

დომ. მე რომ გასტავლო, ისე ქენი, უსირცხვილოს-უსირცხვილოთ მიეპყარი, ხვალ-მარიობას, დაბალ სადილობაზე გადიკიდე ტომარაი მკლავზე, სტუმრებს ბოდიში მუუხადე: უკაცრავად ვარ, სიმინდის საყიდლათ მივალ აგერ ტანციაზე, მომითმინეთ თქვენ, ვიყიდი, დავაფქოვ და ერთ მინუთში გამოგიტანთ სადილს-თქვა, და ისე ჩვენი მტერი დეიფანტოს, იგენი მოკურცხლავენ სახლში.

პეტრ. ბიჭო, მაგი კარგი მასწავლე, მაგას ნამდვილად ვიზამ, აგაშენა ღმერთმა...

ლუკაიეს ობოლი.

სუფსელ და ჯიხანჯირელ ქალთა საუბარი.

ელიკო. დილა მშვიდობის, დაიკო!

სადიკო. დილა სიხარულის მოგცეს ღმერთმა, ჩემო ელიკო.

ელიკო. რავა ყიდი ამა ყველს?

სადიკო. ცალობით არვყიდი, გირვანქა ხუთი შაურია შენისთანა ნაცნობთან და ისთე კი ექვსი შაური.

ელიკო. რა ამბავია დაო, ქვეყნის დაქცევა არ არის ასეთი სიძვირე?

სადიკო. ქვეყანა რომ წკიპზედ არის ახლა შეიტყვე, ცავ? ახალგაზდები ჩხუბში იხოცება. ძველი ჭადი ქე შევჭამეთ, ახალი წვიმამ გააფუჭა, ქვაი არ იქომა და სხვაი რა მაქ მე უბედურს? ერთი ძროხა მყავს რაცხა ოროლ ჭაჭუტას გამოვწრიპავ, იგიც, თუ ასთეი არ გავყიდე, რაით ვიყიდო მჭადი ამ ოხერი მუცლიზა. ჩემ ბავს ვინ ჩივა დაიავ, ბაღნების ცოდვა მკლავს, რომ იზღივლებენ და მომაშურებენ: ნენავ, მშიაო, აბა გუჩემდი, თუ ქვაის გული არ გაქ! მაინც, ყველაფერი გააძვირეს ამ ვაჭებმა, ვერაფერს ვერ მიეკარები, დარდანელი დაიკეტაო, ქვაი მაგინის თავში, მაგენს გაპივრება სხვისი არ აწუხებდეს; რავარც გაპივრებულს გნახავს, მაშინ გძერობს ტყავს.—

ელიკო. ხედავ, დავ, ამ ტანციის გვერდზედ გასაარები რაფერ გაუკავებიან! მგონი ჩიტიც ველარ ჩაფრინდება შიგ.

სადიკო. კბილები გაეკავა ამის გამკავებელს, ვინცხაის მიზეზით აგი აქანაი გააკავეს! ასეი დიეგვართა აგი, რავა რაცხა სოფლიდგან რამე ჩამოვიდოდა გასაყიდი პააჯირიდგან მგზავრები ყიდულობდენ და ტანციის მოსამსახურენიც, ახლა ქე გააკავეს ასე, წყალი არ წეიღონ ბაზარშიო და აქანაი კრანტთან არ დეიქცესო.

ელიკო. დიდუვ! რას ვხედავ ამას! მწყუროდა ახლა, წყალს დავლევ მეთქი! არც წყალს ასმევს ღმერთი და არც ღვინოს ამის ასე მომხერხებელს, მანამ ცოცხალი ვიქნები, ძმარს უსხამ ცეხლში და მისოულობას ამოვკვინჭილავ.

სადიკო. ვის აბრალებენ, დავო, იმის გაღობავას!

ელიკო. ვითამ ამ დიდი სახლის უფროს, მარა რავაც მითხრეს მაგი არ არის ამფერი ფინთი; იგი მუდამ, რომ რკინას ურაკუნებს, იმის ჯინიაო.

სადიკო. ეცადონ ამისთანა საქმე და იცინონ ჩვენგაპირვებაზედ.

ელიკო. აგი ხომ აგია, მარა ჩვენი ფოშტის საქმე რომ იშლება, არ იცი დაო?

სადიკო.—რა ვიცი დაო, მე გაჩერჩეტებულმა მელაზონმა, გუშლამ ჩემი ბადიშის პასილკის გაგზავნა მინდოდა ჩხუბში, საცოდავმა ბერმა კაცმა ბევრი იწანწალა და ბოლოს რავაცხა გაგზანა ამ ტანციიდან.

ელიკო. ხო, ასეა დაო აქანაი ამფერი გაპივრება, ამიზა ფოშტის გახსნა გვინდოდა და მოსანსახურებმა ჯერ გვიშალეს და გვიშალეს, თურმე ჯამაგირს მუკლებდენ, ბოლოს რავაც იქნა აქაურებმა ქე მოაკავკუდეს საქმე, გურიელმა სიტყვა მისცა თავრობას, სახლს გაგიპაჩინკებთ და სამი წლის ვადით ქირაში მოგ-

ცემთო, მერე შეიჯდინა ბზიკი და კანდრახის დაწერის დროს ქიარ იკადრა ვარი!—მაშინ რომ ეთქვა ვარი, სხოგან ახერხებდენ სახლს და ახლა ქე გამოგვისვა დანა კისერში, ასე გვილალატა, დაო.

სადიკო. ღმერთი უღალატებს, დაო, ამფერ კაცს, რავა, იძახიან განათლებულია, გურიელია კიდო, ქვეყნის საქმეს უნდა ეხმარებოდეს, თვარა უნდა ფუშავდეს! მისი სირცხვილი, თვარა ამით სოფელი არც გაკეთდებოდა და არც წახდებოდა; ისეთი ცუდათ დაკარგა შამა მისმა მის გაზდაში ფარები, უკეთესი კაცი კი დარჩებოდა მეგონა.

ელიკო. ასეა ჩვენი სოფლის საქმეები, მეტიც კიდო ბევრია, მარა აღარ მცალია შინ მეჩქარება ბალნები ცეხლში არ ჩამიცვიდენ, მშვიდობით ბძანდებოდე.

კიტე.

ჩემი თავგადასავალს თბილისში.

(მეგობრის ნაამბობი)

(დასასრული)

— აი, მოგახსენებთ. როდესაც ოსმალეთთან ომი გამოცხადდა მთელი თბილისის მცხოვრებნი ისე გაიტაცა ბრძოლის ენმა და ბრძოლის სურვილმა- რომ ყველა მოხალისეთ ეწერებოდა, მაგრამ მათდა საუბედუროთ იარაღი საყოფი არ აღმოჩნდა და და მთავრობაც იძულებული იყო უარით გამოესტუმრებია ისინი, და არ მიეღო. რას იზამდენ, შეურიგდენ ისევ თავის ბედს და დაუბრუნდენ ჩვეულებრივ ქალაქურ ცხოვრებას, ხოლო ეს ბრძოლის ენი და სურვილი რომ დაეკმაყოფილებათ და მისთვის გასავალი ხზა მიეცათ, ერთმანეთ შორის გააჩაღეს ხელ ჩართული ბრძოლა. მთელი ქალაქის ცხოვრებნი ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ გაიყო: ერთის მხრით დგანან შოფერები, მეეტლეები, ტრამვაის მემანქანენი და სხვანი, მეორე მხრით კი დანარჩენი მოქალაქენი. პირველი ბანაკი უფრო მომზადებული აღმოჩნდა და დიდ ზიანსაც აყენებს მეორეს გამარჯვება ჯერ-ჯერობით პირველისკენაა. დღესაც დიდი შეტაკება მოხდა, ძლიერ დაზიანდა მეორე ბანაკი, მას გაუსრისეს ხუთი და დაუჭრეს ათი. ერთი სიტყვით საშინელებაა. თუ კი სადმე დაგიმარტოვეს არ დაგინდობენ გაგსრესენ! დააბოლავა ჩემმა მოსაუბრემ.

— ოჰ, ეს რა უბედურება ყოფილა! შეშინებული წამოვიძახე მე.

— ეჰ, ნუ გეშინიათ! ადრე შეეჩვევით ღიმილით მითხრა მან, შემდეგ გამომემშვიდობა და გაუდგა თავის გზას.

მე კი ძლიერ დამალონა და შემაშინა ამ უკანასკნელმა ამბავმა, მაგრამ აქ გამახსენდა ლუარსაბ თათქარიძე, რომელმაც ქალაქში ჩასვლის დროს სამი დიდი კენჭი გადაყლაპა და მოინელა და მეც ცოტათი იმედი მომეცა. „თუ კი ლუარსაბმა სამი დიდი კენჭი ქვა მოინელა, ნუ თუ მე ვერ შევეჩვევი ამ შედარებით უმნიშვნელო ომს“ გავივლე გულში და იმედ მოცემულმა გავსწიე წინ.

4. სასადილოში.

უკვე შუადღეზე გადასულიყო. დაღლილს, მოქანცულს და ათას ჭირში გამოვლილს, საშინლათ მომშივებოდა. მივიხედ-მოვიხედე ჩემს გარშემო და სწორედ ჩემს წინ სასადილო დავინახე, რომლის „ვივესკაზე“ რუსულათ დიდი ასოებით ეწერა: „Столовое обѣдъ и ужинъ“ ქვეშ კი წვრილი ასოებით მიჩხაპნილი იყო შემდეგი: „სადილ-ვახშამი“.—ამ სასადილოს პატრონი უეჭველათ ქართველი იქნება მეთქი, ვიფიქრე და სწრაფი ნაბიჯით გავსწიე მისკენ. სასადილოში შესვლისთანავე ბუზების უზარმაზარი გუნდი მხიარული ზუზუნით შემომეგება; სამხიარულო ბიზეზიც ჰქონდათ, რადგან მთელი სასტუმრო იატაკი პურის ნამცეცებით, ძვლებით, და ხორცის ნაგლეჯებით იყო მოფენილი. ბუზები გუნდებათ ხან ერთ ადგილას დაგროვდებოდენ, ხან მეორეს, ერთი სიტყვით მხიარულ ქეიფს ეწეოდენ, დროს ატარებდენ. სასადილოში ჩემი ყურადღება მიიპყრო, კედელზე მიყრდნობილმა მოსამსახურე „ბიჭმა“, მისი წინსაფარი, რგორც ეტყობოდა 1905 წელს მერე არ გარეცხილიყო. დანახვის თანავე საჩქაროთ მომიახლოვდა და „რას ინებებთო“ მითხრა; მეც ვუთხარი რაც მინდოდა და ჩამოვჯექი ერთ საკმაოდ გაქონილ მაგიდასთან; მანაც სწრაფათ მომიტანა ჩემი კერძი, სახელოები ცხვირზე გაის-გამოისვა, და კიდევ თავაზიანათ შემეკითხა, „სხვას რას ინებებთო“.

რადგანაც ძალზე მწყურდა, წყალი ვსთხოვე. მან ამ თხოვნაზე მომირბენინა ჭიქით რაღაც სით-

ხე და წინ დამიდგა. მე განცვიფრებული ვაცქერდებოდი ამ სითხეს და ვერ ამომეცნო რა იყო. ისევ კვასს გავდა, მაგრამ უფრო ყვითელი იყო.

— ეს რა არის? შევეკითხე ბოლოს; მან გაკვირვებით შემომხედა, ალბათ ძლიერ ეუცხოვა ჩემი კითხვა.

— წყალი გახლავს, ბატონო!

აქ წყალიც სხვანაირი სოდნიათ გავივლე გულში.

— როგორ თუ წყალი! ვერ ხედავ რა ყვითელია!?

— თქვენ ალბათ ახალ ჩამოსული ბრძანდებით და ამისათვის გიკვირთ, [illegible]ორემ ეს საუკეთესო წყალია! ქალაქის მამები ამას საგანგებოთ ამზადებენ ხოლერის ბაცილების წინააღმდეგ საბრძოლველათ. კუპის ტკივილისათვისაც უებარი წამალია-დააბოლავა ჩემმა მოსაუბრემ.

— კი, მაგრამ, რას ურევენ წყალში, რომ ასე ყვითელია?

— ეს მტკვრის ტალახი გახლავთ, ბატონო, და ხომ მოგეხსენებათ, რომ მტკვრის ტალახი თავის სამკურნალო ღირსებებით განთქმულია!

მე დავკმაყოფილდი ამ პასუხით და თან გამალებული ვილუკმებოდი, მაგრამ ჯერ ჩემი კერძის ნახევარიც არ მქონდა შეჭმული, რომ შიგ ალმოვაჩინე რამოდენიმე ბუზი და ერთი წუმწუმის ნატეხიც. სიმშილი მწარე ყოფილა, ამისათვის მე ყურადღებაც არ არ მიმიქცევია და ისევ განვაგრძობდი ჭამას, მაგრამ ჩემ კოვზს ბოლოს პაპიროზის ნამწვავიც ამოყვა. ეს ვეღარ ავიტანე, ხელიდან გავაგდე კოვზი და ზეზე წამოვარდი. გულის რევა ვიგრძენი, საჩქაროთ გადაუგდე სასადილოს პატრონს მისი ხვედრი და ქუჩაში გავიქერი.

5. ნარეცხი წყალი

გაბოროტებული და ბოღმა მორეული ჩქარის ნაბიჯით უგზო უკვლოთ მივდიოდი ქუჩაში, ვინ იცის საით. ოჰ, როგორი ზაფრის ქარები ამივარდებოდა, როდესაც მოვიგონებდი, რომ ყოველივე ეს თბილისში დაჭემართა, იმ თბილისში, რომლის ნახვას და დათვალიერებას ასე მოუთმენლათ ველოდი, რომლის მარტო გახსენება ვინ იცის როგორ სიხარულს აღმაძრავდა გულში. ეხლა კი, ეჰ, როგრ დაიმსხვრა ჩემი ოცნება! ნუ თუ ამას მოველოდი თბილისისგან?! ასეთ მღელვარე ფიქრებში გავიარე ერთი ვიწრო ქუჩა (სადაც საშინელი სულის შემხუთავი სუნი ტრიალებდა, ალბათ ქალაქის სანიტარებისაგან საგანგებოთ დაყენებული ხოლერის ბაცილების წინააღმდეგ) და გავედი საკმაოდ ფართე და სუფთა ქუჩაზე. აქ კი გულს ცოტა მოეშვა, დამიწყნარდა, ბოღმა-ნაღველიც თან და თან მცირდებოდა და რაღაც ისევ ხალისიან ხასიათზე ვდგებოდი. ალბათ აქ მამულიშვილურმა გრძნობამ დასძლია პირად ინტერესებს. ის იყო ქუჩის შესახვევს დავუახლოვდი და მინდოდა „გოროდოვოის“ დავკითხებოდი თუ რომელ ქუჩაზე ან სად ვიმყოფებოდი, რომ უეცრად ჩემს გვერდით ორმა მშვენიერმა მტრედმა ჩაიქროლა. დიახ ორმა მტრედმა, რადგანაც მათ დასახასიათებლათ სხვა სიტყვა ვერ მომიგონია! თოვლივით თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ფეხზე მოწითანო ფეხსაცმელებით და თავზე ძვირფას ფრთებიანი თეთრივე ქუდით, ისინი ისე სწრაფათ მისრიალებდენ ქუჩაზე, რომ გეგონებოდათ, სწორეთ მიფრინავენო. მათგან გადმონატორცხნმა შავთვალთა ისრებმა ჩემი გული დასჭრეს და დაკოდეს. მათი ფიქალი ღია გულმკერდი ანდამატივით მიმზიდველობას იჩენდა. მე ამ მტრედებმა დამავიწყა ყველაფერი; ტრამვაიც, ავტომობილიც, სასადილოც, ჩემოდანიც და როგორც გზა აბნეული ცხვარი თხას დაინახავს და უკან გამოუდგება, ისე მეც რაღაც ძალა უნებურათ ვიბრუნე ფრონტი და გამოვუდექი მათ. დიდხანს ვსდიე, გადავწყვიტე რაც უნდა მომსვლოდა გამეცნო ისინი. შესაფერი დროც მალე დამიდგა! ისინი უეცრათ შეჩერდენ ერთ ქუჩის შესახვევში რაღაც ლაპარაკი და სიცილი მოართეს. მეც შორაახლო შევჩერდი და ვსტკბებოდი მათი ცქერით. დროგამოშვებით ისინი ჩემსკენაც გამოიხედავდენ არშიყულის თვალებით და მხიარულათ გადაიკისკისებდენ. ალბათ შემამჩნიეს, რომ მე მათ ვუცქერდი. „ეჰ, დადგა სასურველი დრო!-გავივლე გულში, მოდი მივალ და გავეცნობი!“ ეს ვსთქვი და კიდევაც გადავდგი ერთი ნაბიჯი მათკენ, რომ უეცრად ზემოდან რაღაცამ ითქვეფა და მეც მსწრაფლ ზევიდან გადმოსხმულ წყლის შხეფებში გავეხვიე!—აქ ერთ წამს გავშეშდი, ქანდაკებასავით გაუნძრევლათ ვიდექი, ვერ მიმხვდარიყავი რა დამემართა. შემდეგ, როდესაც გამოვერკვიე, ზევით ავიხედე და მეორე სართულის ფანჯარაში დავინახე გამოწვდილი ტიტველი ქალის თეთრი მკლავი, რომელსაც ის იყო ტასტი წყლიდან გაეთავისუფლებია და ფანჯარაში შეჰქონდა, ალბათ ნარეცხი

წყალი თუ გადმოაქცია ქუჩაზე. აქ დავხედე ჩემს ტანთსაცმელს და ვაი ჩემს თვალებს! ნეტამც არ დამენახა! ჩემი ქუდის კალთებიდან ნელ-წვიმასავით მოწვეთავდა ბინძური წყლის წვეთები, წვრილი საპნის ბუშტები კი ნელ-ნელა მისცურავდა ჩემ ახლად გარეცხილ თეთრ ტუჟურკაზე და წვეთად ქცეული შარვალს ეწვეთებოდა.

— ღმერთო! ეს კიდევ რა უბედურება მომივლინე? ნუ თუ ესეც მაკლდა! თითქმის სასოწარკვეთილებით წამოვიძახე მე და ჩემს გარშემო მივიხედ-მოვიხედე და მხოლოდ ეხლა შევამჩნიე, რომ ჩემი ორი მტრედები მიცქვრდენ და სიცილით იხოცებოდენ. ოჰ, ეხლაც კი მესმის მათი გულის შემზარავი სიცილ-კისკისი, ამ კისკისის თითეული ხმა, თითეული ამოძახილი ტყვიასავით ხვდება ჩემს გულს. სირცხვილისაგან ოფლი კბილში გამომივიდა, ვგრძნობდი, რომ საშინლათ გავწითლდი. ჩემმა სახემაც ალბათ ძლიერ შესაბრალისი და სასაცილო, იდიოტური, გამომეტყველება მიიღო, რადგანაც ყველა გამვლელ-გამომვლელი ჯერ ერთს შებრალებით შემომხედავდა, მერე საზარლათ გადაიხარხარებდა და გასწევდა თავის გზაზე. დიდხანს ვიდექი ამ მდგომარეობაში ერთ ადგილას. „ოჰ რისთვის არ დაიქცა, ის დღე და ის საათი, რა საათშიც მე თბილისის ნახვის სურვილი დამებადა!“ ეს სიტყვები ალმომხვდა მე უკანასკნელათ გულის სიღრმიდან ქვითინით. მოვწყდი იმ ადგილს და ანგარიშ მიუცემლათ გიჟივით გავიქეცი. ვინ იცის, საით მივრბოდი შეუჩერებლათ, დაუსვენებლათ, უგრძნობლათ. მე მხოლოდ მაშინ შევჩერდი, როდესაც ცემენტის კიბეს წავებორკე და ზედ დავეცი. აქ გამოვერკვიე და დავინახე, რომ ამოდენა გზა დაუსვენებლათ, სირბილით გამომეველო და სადგურთან მოვსულიყავი. დალამებულიყო, ეს კიდეევაც გამიხარდა, რადგანაც მატარებელი ის იყო გადიოდა თბილისიდან: საჩქაროთ ვიყიდე ბილეთი და გავექანე მატარებლისაკენ. ნახევარ საათის შემდეგ მე ისევ ელვის სისწრაფით მიმაქროლებდა მატარებელი თბილისიდან დასავლეთ საქართველოსაკენ.

ოჰ! როგორლა გამიწყრება ღმერთი და როგორ გავატარებ გულში თბილისის ნახვის სურვილს“.

ასე დაათავა თავისი მოგზაურობის ამბავი ჩემმა მეგობარმა.

ლონგინიუს პოდბიპენტა.

დეპეშები

ს. წაღვერი.

სარწმუნო წყაროებიდან გაუგია ჩვენს კორესპოდენტს, რომ კარტის მოთამაშეთა ჯგუფს დიდი ეირიშების შემდეგ აუღიათ წაღვერის სამკითხველო და შიგ გამაგრებულან. ამბობენ, დიდი სტრატეგობა გამოიჩინა ე—ო ბ—ემ ამ სიმაგრის აღების დროსო.

დაბა ბორჯომიდან გვატყობინებენ, იქ გამართულ სალამოზე დანიშნული იყო „პრიზი“ იმ ქალისთვის ვინც ყველაზედ ზორბა აღმოჩნდებოდა. დამსწრე საზოგადოებაში პირველობა ქ-ნ. —ძეს რგებია.

კახეთის რკინის გზის სამართველოდგან.

გიორგი პავლეს ძე თუმანიშვილი უარს ამბობს კახეთის რკინის გზის დირეკტორობაზედ თუ ტეხნიკი ხარიტონოვი ექსპლოტაციაში არ დარჩებაო.

იქიდანვე.

მეხუთე დღეა, რაც უმფროს ბუღალტერს ბ-ნ იაკობსონს მოსამსახურეთათვის დედა არ შეუგინებია.

იქიდანვე.

კანცელარიის გამგეს, ბ ნ. ჯორჯაძეს გადაუწყვეტია, რადგანაც მალე გზა გადადის თავად აზნაურობის ხელში, ხუთშაბათობით მთხოვნელებს ანახოს უფროსი ინჟინერი რაციბორსკი...

იქიდანვე.

როგორც რევიზიის დროს აღმოჩნდა, ათი თვის გამავლობაში კახეთის ნავთლუღის სადგურის უფროს ბ-ნ ბაქრაძეს მოსამსახურეთა და მოიჯარადრეთა წინააღმდეგ ამავე სამართველოში 17989 დაბეზღების ხასიათის ტელეფონოგრამა გაუგზავნია.

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. ვ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✦ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ ✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა" რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე.